

## გადაწყვეტილება #1/08.01.2018

### გაცემული ეროვნული ანტი-დოპინგური სააგენტოს მიერ სპორტსმენი ლაშა აზალაძის საქმეზე, მიერთებული ბუქარესტის მუნიციპალური სპორტის კლუთან, სპორტის სახეობა რაგბი

ეროვნული ანტი-დოპინგური სააგენტო შემდგომში წოდებული როგორც „სააგენტო“, რომელსაც აქვს ოფიციალური ოფისი ბუქარესტში, 37-39 ბასარაბია., რაიონი 2, # 227/2006 კანონის 42-ე მუხლის წესების თანახმად, რომელიც ეხება სპორტში დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლას, შემდგომი შესწორებებით და დამატებებით, რომელიც ითვალისწინებს სპორტსმენი ლაშა აზალაძის (და რომლის მუდმივი საცხოვრებელია საქართველო, თბილისი, კოტე მესხის 18) საქმის წარმოებას, მიერთებული ბუქარესტის მუნიციპალური სპორტულ კლუბთან, ფლობს შემდეგს:

#### დე ფაქტო ასპექტები:

- რაგბის სპორტულ სახეობაში ჩატარებული საშეჯიბრო დოპინგ კონტროლის შედეგად, CEK BANK-ის სუპერ ლიგის Bucharest MSC vs Steaua Bucharest ASC მატჩზე, ჩატარდა ბუქარესტში 07.10.2017წ, ეროვნული ანტი-დოპინგური სააგენტოს ტესტირების გეგმის შესაბამისად, სპორტსმენი ლაშა აზალაძის შარდის სინჯში (კოდი: **6305059A**), აღმოჩნდა აკრძალული ნივთიერება **სტანოზოლოლი**. აღნიშნული ნივთიერება შესულია 2017 წლის აკრძალულ სიაში, სექციაში S1. ანაბოლური აგენტები, 1. ანაბოლური ანდროგენული სტეროიდები (AAS), A. ეგზოგენური AAS. 227/2006 კანონის 36-ე მუხლის 4-ე პუნქტით გათვალისწინებული განხილვის შედეგად (რომელიც ეხება სპორტის სახეობებში დოპინგის პრევენციას), სააგენტომ დაადგინა რომ თერაპიული გამოყენების ნებართვა (TUE) არ იყო გაცემული სპორტსმენის სინჯში აღმოჩენილი ნივთიერებისათვის და არ არსებობს აშკარა უკუქცევა ტესტირების და გამოძიების საერთაშორისო სტანდარტისგან და საერთაშორისო სტანდარტისგან ლაბორატორიებისთვის რათა ბათილად იყოს ცნობილი უარყოფითი ანალიტიკური აღმოჩენა.
- 227/2006 კანონის 36-ე მუხლის 4-ე პუნქტის შესაბამისად (რომელიც ეხება სპორტში დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლას, დამატებებით და შესწორებებით) მიღებული ფაქტების მიხედვით სააგენტომ გადაწყვიტა მართოს შედეგი როგორც სავარაუდო ანტი-დოპინგური წესის დარღვევა 227/2006 კანონის 2-ე მუხლის 2-ე პუნქტის შესაბამისად სპორტში დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლა და პრევენცია შესახებ, შესაბამისი ცვლილებებით და დამატებებით.
- კანონის 36-ე მუხლის 6-ე პუნქტის თანახმად სპორტსმენს მიეცა დაცვის უფლება მისი კანონიერი უფლებების შესაბამისად და მას ასევე ეცნობა რომ ის დროებით შეჩერებულია ნებისმიერი სპორტული აქტივობისგან, 227/2006 კანონის 50-ე მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად.
- 227/2006 კანონის 36-ე მუხლის 5-ე პუნქტის შესაბამისად ANAD-მა გადაამოწმა შიდა მონაცემთა ბაზა იმის დასადგენად იყო თუ არა სპორტსმენი ლაშა აზალაძე ადრე სანქცირებული ანტი-დოპინგური წესების დარღვევისათვის, და დადგინდა რომ სპორტსმენს ადრე არანაირი სასჯელი არ ჰქონდა.

- სპორტსმენმა ლაშა აზალაძემ არ მოითხოვა B სინჯის ანალიზი შეტყობინებიდან 48 საათის ვადაში.
- 10 დღიან ადმინისტრაციულ ვადაში სპორტსმენმა ლაშა აზალაძემ წარმოადგინა მისი მოსაზრება სავარაუდო ანტი-დოპინგური წესის დარღვევაზე, გააკეთა არჩევანი რომ არ გაასაჩივროს ბრალდება მის წინააღმდეგ ANAD-სგან მიღებული შეტყობინების საფუძველზე და მან ასევე უარი თქვა მის უფლებაზე რათა დაინიშნოს მოსმენა.

**საქმის მტკიცებულებების განხილვის შემდეგ, სააგენტო ფლობს შემდეგს:**

- მიმდინარე პროცედურა ანტი-დოპინგური წესის დარღვევის მართვისთვის ინიცირებულ იქნა ანალიტიკური შედეგის შედეგად რომელიც აღმოჩნდა სპორტსმენის შარდის სინჯში – კოდი: **6305059A**
- სპორტსმენის მოვალეობაა უზრუნველყოს რომ ანარაინი აკრძალული ნივთიერება არ მოხვდეს მის ორგანიზმში. სპორტსმენი მკაცრად პასუხისმგებელია მის ბიოლოგიურ სინჯში ნებისმიერი აკრძალული ნივთიერების არსებობისთვის ან მისი მეტაბოლური მარკერის არსებობისთვის.
- იმისათვის რომ დადგინდეს ანტი-დოპინგური წესის დარღვევა ANAD-ს არ სჭირდება იმის მტკიცება ჰქონდა თუ არა სპორტსმენის მიერ განზრახვას, ბრალს, დაუდევრობას თუ ცნობიერად დარღვევას.
- სპორტსმენმა არ წარმოადგინა რაიმე მტკიცებულება თვის დასაცავად, ასევე უარი თქვა მოსმენაზე.
- სპორტსმენმა ლაშა აზალაძემ ჩაიდინა მისი პირველი ანტი-დოპინგური წესის დარღვევა.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით:**

- 227/2006 კანონის 2-ე მუხლის 2-ე პუნქტის თანახმად სპორტსმენი ლაშა აზალაძე აღიარებულია დამნაშავედ ანტი-დოპინგური წესების დარღვევისათვის, მკაცრი პასუხისმგებლობის პრინციპის გათვალისწინებით დაკისრებული სპორტსმენზე რომლის ბიოლოგიურმა სინჯმა გამოამჟღავნა აკრძალული ნივთიერების არსებობა. აქედან გამომდინარე მიგვაჩნია რომ სპორტსმენმა მიიღო ანტი-დოპინგური წესების დარღვევა.
- საჭირო არ არის დადგინდეს სპორტსმენის მიერ იყო თუ არა აკრძალული ნივთიერების ან მეთოდის გამოყენების განზრახვა, ბრალი, დაუდევრობა თუ ცნობიერი გამოყენება რათა განისაზღვროს ანტი-დოპინგური წესის დარღვევა 227/2006 კანონის 2-ე მუხლის 2-ე პუნქტის თანახმად, როგორც მოცემულია მსოფლიო ანტი-დოპინგური კოდექსის 2.1 მუხლში.
- ანტი-დოპინგური წესის დარღვევი მტკიცებულება წარმოდგენილია სპორტსმენის ლაშა აზალაძის სინჯში (# **6305059A**) აკრძალული ნივთიერების **სტანოზოლოლის** არსებობით.

**იურიდიულად, ეროვნული ანტი-დოპინგური სააგენტო აფუძნებს მიმდინარე გადაწყვეტილებას შემდეგი იურიდიული საფუძვლების მიხედვით:**

- 227/2006 კანონის 2-ე მუხლის 2-ე პუნქტი ქვ. A, სპორტში დოპინგის წინააღმდეგ პრევენციისა და ბრძოლის შესახებ;

- 227/2006 კანონის მუხლი 36 პუნქტი 6 ქვ. H, მუხლი 55 პუნქტი 2, მუხლი 56 პუნქტი 1,2 და 5, მუხლი 60 პუნქტი 1, მუხლი 61, მუხლი 74 პუნქტი 1 და 4, მუხლი 75 პუნქტი 2, მუხლი 80 და მუხლი 102 სპორტში დოპინგის წინააღმდეგ პრევენციის და ბრძოლის შესახებ, შესწორებებით მუხლი 13-ში მსოფლიო ანტი-დოპინგური კოდექსის;
- მსოფლიო ანტი-დოპინგური კოდექსის მუხლი 2.1 და მუხლი 10.6.1.1

### გადაწყვეტილება:

მუხლი 1. (1) სპორტსმენი ლაშა აზალაძე სანქცირებულია 4 წლიანი დისკვალიფიკაციით.

(2) დისკვალიფიკაციის პერიოდი არის **07.10.2017-06.10.2021**

მუხლი 2. მუხლი 1-ში პუნქტი 2-ში მოცემული დისკვალიფიკაციის პერიოდის განმავლობაში, სპორტსმენს არა აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს ნებისმიერ შეჯიბრებაში ან აქტიულობაში ორგანიზებული მსოფლიო ანტი-დოპინგური კოდექსის ხელისმომწერის მიერ.

მუხლი 3. მუხლი 1-ში პუნქტი 2-ში მოცემული დისკვალიფიკაციის პერიოდის განმავლობაში, სპორტსმენს არა აქვს უფლება იმოქმედოს ნებისმიერ სახით ხელისმომწერ სპორტულ ორგანოში, ან დადოს რამე ხელშეკრულება ან იმოქმედოს როგორც მოხალისე ნებისმიერ სახით ასეთ ორგანოსთან.

მუხლი 4. თუ დაირღვა მუხლი 2 და მუხლი 3, სპორტსმენის შედეგები დისკვალიფიცირებულ იქნება და დისკვალიფიკაციის სრული პერიოდი თავიდან შევა ძალაში აკრძალვის დარღვევის დღიდან.

მუხლი 5. მუხლი 1-ში პუნქტი 2-ში მოცემული დისკვალიფიკაციის პერიოდის განმავლობაში, ყველა ფინანსური სარგებელი და დახმარება ხელისმომწერისგან და ხელისმომწერი წევრი ორგანიზაციისგან შეჩერდება.

მუხლი 6. მუხლი 1-ში პუნქტი 2-ში მოცემული დისკვალიფიკაციის პერიოდის განმავლობაში, სპორტსმენი ექვემდებარება ტესტირებას და ვალდებულია წარმოადგინოს მისი ადგილსამყოფელის ინფორმაცია, ტესტირების და გამოძიების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ADAMS-ის მეშვეობით.

მუხლი 7. მიმდინარე გადაწყვეტილების აპელაცია შეიძლება მოხდეს 21 დღის ვადაში შეტყობინების მომენტიდან, სააპელაციო კომისიაში, გარდა ANAD-ის, შემდეგი პირის მიერ: სპორტსმენი ლაშა აზალაძე, ბუქარესტი MSC, რუმინეთის რაგბის ფედერაცია და მსოფლიო რაგბი.

მუხლი 8. მიმდინარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მსოფლიო ანტი-დოპინგური სააგენტოს მიერ 21 დღის ვადაში აპელაციის ვადის გასვლიდან ან 21 დღის ვადაში საქმის მასალების მიღებიდან, სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოში, ლოზანაში.

მუხლი 9. მიმდინარე გადაწყვეტილების შეტყობინება გაეგზავნება სპორტსმენს ლაშა აზალაძეს, Bucharest MSC, რუმინეთის რაგბის ფედერაციას, მსოფლიო რაგბის, სპორტის სამინისტროს, რუმინეთის ოლიმპიურ კომიტეტს და მსოფლიო ანტი-დოპინგურ სააგენტოს.

მუხლი 10. რუმინეთის რაგბის ფედერაცია ვალდებულია განახორციელოს მიმდინარე გადაწყვეტილება და დაემორჩილოს სამართლებრივ დებულებებს.

მუხლი 11. მიმდინარე გადაწყვეტილებაში მოცემული ინფორმაცია განთავსდება ANAD-ის და რუმინეთის რაგბის ფედერაციის ვებსაიტზე: სპორტსმენის სახელი და გვარი, ანტი-დოპინგური წესის დარღვევა და დისკვალიფიკაციის პერიოდი.

მუხლი 12. მე-13 მუხლის შესაბამისად საბოლოო სააპელაციო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ან სააპელაციო ვადის გასვლის შემდეგ, ანტიდოპინგურ ორგანიზაციას სადისკვალიფიკაციო ვადის ნაწილის შეჩერება შეუძლია მხოლოდ WADA-ს ან შესაბამისი საერთაშორისო ფედერაციის თანხმობით. სადისკვალიფიკაციო პერიოდის შემცირების ხარისხი განისაზღვრება სპორტსმენის მიერ ჩადენილი ანტიდოპინგური წესების დარღვევის სიმძიმით და მის მიერ გაწეული ქმედითი დახმარების მნიშვნელობით სპორტში დოპინგის აღმოფხვრის საქმეში. დასაშვებია დისკვალიფიკაციის ვადის მაქსიმუმ სამი მეოთხედით.

მუხლი 13. თუ სპორტსმენი ან სხვა პირი აღარ აგრძელებს თანამშრომლობას და სრულყოფილი და სანდო დახმარების გაწევას, რასაც ეყრდნობოდა დისკვალიფიკაციის პერიოდის შეჩერება, ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, რომელმაც შეაჩერა დისკვალიფიკაციის პერიოდი, შეუძლია აღადგინოს მისი საწყისი ხანგრძლივობა.

მუხლი 14. ანტიდოპინგური ორგანიზაციის ნებისმიერი გადაწყვეტილება – აღადგინოს ან არ აღადგინოს დისკვალიფიკაციის შეჩერებული პერიოდი – შეიძლება გასაჩივრდეს მსოფლიო ანტი-დოპინგური კოდექსის მე-13 მუხლის თანახმად აპელაციის უფლების მქონე ნებისმიერი მხარის მიერ.

პრეზიდენტი

გრაზიელა ელენა ვაჟიალა